572
1971

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დილა

1971 იანვარი N1



572
31



## თბილისი, ბაქო და ერევანი

თბილისი, ბაქო და ერევანი!—
რა კარგი თქმაა, რა დიდებული!
ეს ერთი ვაზის სამი მტევანი
მმურ მარანშია დაკიდებული.

**ი. გრიშაშვილი**

**50 წლის** წინათ ამიერკავკასიაში — ჩვენი დიადი ქვეყნის ამ ერთერთ ულამაზეს მხარეში — დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

დღეს სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხი თავის ბედნიერებასა და თავისუფლებას ზეიმობს.

ჟურნალის ამ ნომერში, ქართველი მწერლების ნაწარმოებებთან ერთად, წაიკითხავთ სომხურ და აზერბაიჯანულ ლექსებსა და მოთხრობებს, ზღაპრებსა და იგავებს...

სომხურიდან მოთხრობები, ლექსები და ზღაპრები თარგმნა **გივი შაჰნაზარმა**. აზერბაიჯანულიდან — **ლეილა ერაძემ**.

# ყვითელი კურდღლები

**მერი ბოლქვაძე**

ნახატი **ელ. ამბოკაძისა**

— მცივა, მცივა!—გააკანკალა ჩიტს.

— ჩვენც გვცივა,—დაიწუწუნეს ხეებმა,— მაინცადამაინც მაშინ გვხდიან კაბებს, როცა აცივდება.

მართლაც ძალიან აცივდა; ცეცხლის დანთების დროა. ვარო ბებომ შეშა შეყარა ღუმელში, ნავთი მიასხა და ასანთს გაჰკრა.

— ბუჰ!—ავარდა ალი.

მაშინვე ღუმელიდან სითბოს ყვითელი კურდღლები გადმოხტნენ, დაბზრიალდნენ, კედლებს და კუთხეებს ეცნენ, ათამაშდნენ.

დათბა.

როცა სითბოს ოთახიდან არ გაუშვებ, ოთახში ყოველთვის თბილა. სახლს კი კედლები და კარი იმისათვის აქვს, სითბო დაიჭიროს,—სითბოს ყვითელი კურდღლები გარეთ გაქცევას ცდილობენ.

— გარეთ გვინდა, სულ ოთახში ხომ არ უნდა ვიჯდეთ?!

— გარეთ დაიკარგებით, ისეთი სიცივეა...— დაიკრუტუნა კატამ,—სიცივე ხელად გადაგყლაპავთ. სჯობია აქ იყოთ, ჩემთან ითამაშოთ!

— შენ გაგათბოთ და ჩიტები და ხეები არა?!—გაუჯავრდნენ კურდღლები კატას.

კატამ ცალი თვალი მოჭუტა.

11583



— ზამთარს თქვენ ვერ მოერევით, ცხვირსაც ვერ გაყოფთ გარეთ!

— ცხვირსაც გავყოფთ და მოვერევით კიდეც! გაიბღინძნენ სითბოს კურდღლები,— ჩვენ ხომ სითბო ვართ?!

უცებ კარს ქარი დაეჯახა და შემოახეთქა, ოთახში შემოვარდა, ყინვა და სიცივე შემოიყოლა. ქარმა და ყინვამ თვალის დახამხამებაში ღუმელში შეაგდეს სითბო და თვითონ დაიწყეს სირბილი ოთახში.

ვარო ბებო წამოხტა:

— უი, უი, ერთი ამათ უყურეთ, როგორ შემომიცვივდნენ!— დაიძახა და სასწრაფოდ მიკეტა კარი; გარეკა ქარი და ყინვა გარეთ,— თქვენთან ყოფნა რომ მინდოდეს, ცეცხლს კი არ დავანთებდი?!

ისევ გადმოხტნენ სითბოს ყვითელი კურდღლები ღუმელიდან.

— ხომ გითხარით, გარეთ ვერ გახვალთმეთქი?!— ახლა ორივე თვალი მი ლულა კატამ დინჯად,— ზამთარს მზე მოერევა, თქვენ კი მე და ვარო ბებო უნდა გაგვათბოთ, უთქვენოდ გავიყინებით.

სითბოს კურდღლებს ხმა აღარ ამოუღიათ, მაგრამ ჩიტებისა და ხეების დარდი კი მაინც ჰქონდათ,— ვიდრე მზე მოერევა ზამთარს, გაიყინებიან.— ფიქრობდნენ კურდღლები.

კატა არაფერს ამბობდა, თვალებს ნაბავდა, თვითონ ხომ თბილად იყო და აბა, სხვა რაში ედარდებოდა!

# ფანტელები

**რაზმიკ დავოიანი**

თოვლის თეთრი ფანტელი;
ფრთათეთრი და ფრთამრთელი—
ა, იმ ღრუბლის აფრიდან
ახტა-დახტა, აფრინდა,
გაფრინდა და გაფრინდა,—
ნუშის შტოზე დაფრინდა.



თხელი კაბა თუ ეცვა,
აკანკალდა უეცრად;
მოესურვა იმ წამსვე
დასკუპება მიწაზე
და ცალი ფრთა პაწია
ასაფრენად ასწია,
მაგრამ ვინლა აცალა,—
ყინვამ დაუცაცხანა
და ავსულმა ნუშის შტოს
მიაფინა უსიტყვოდ...
აბა, რალას იზამდა?!
— ხეზე გამოიზამთრა!..

და ჰა, დადგა დარიც,
ზეცამ გახსნა კარი,
გაზაფხულმა ბუნებას
შეუცვალა გუნება
და მზემ გადმოიხედა:
— ყინვა უკან იხევდა!
ჩიტუნიაც მოფრინდა
უშორესი სოფლიდან;
ხეს ფრთა გაჰკრა, სისხარტით
ფანტელს ჩაჰკრა ნისკარტი
და ფანტელი პაწია
თეთრ ყვავილად აქცია...





ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

# თოვლის გუნდა

**დონა ბორონჯაძე**

ბებიამ სოფლიდან დარეკა და შორენას სასიხარულო ამბავი შეატყობინა: მოვდივარო. მერე ისიც თქვა, ჩვენთან დიდი თოვლი მოვიდაო. შორენამ სთხოვა: თოვლის გუნდა ჩამომიტანეო.

— კეთილი.— შეჰპირდა ბებია...

გოგონა დანაპირებს მოუთმენლად ელოდა. თითქმის მთელი ღამე უძილოდ გაატარა.

გათენდა. დილაადრიანად კარზე დარეკეს. შორენა ლოგინიდან წამოიჭრა.— ბებია ჩამოვიდა! დედამ კარი გააღო და ბებიამ ოთახში თოვლის ვეებერთელა გუნდა შემოიტანა. შორენა გაოცებული შესცქეროდა ბებიის საჩუქარს.

— გარეთ გაიხედე, გარეთ,— უთხრა ბებიამ. შორენა წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა.

— თოვლი მოსულა!— წამოიძახა გახარებულმა, მერე ფაცაფუცით ტანთ ჩაიცვა და ეზოში გავარდა.

ხეებს თოვლის ქუდები დასდებოდა. მიწას თეთრი ხალიჩა გადაჰფენოდა. ასეთი დიდი თოვლი შორენამ პირველად ნახა.

ბებია კართან იდგა და იღიმებოდა.



# თავისუფლების მატარებელი

ეინულა ალაევი — ნახატი თენგიზ სამსონაძისა

აი, უკვე მესამე დღეა ქამრანი შინ არ დაბრუნებულა. დედამისმა, ინჯი ხალამ, აღარ იცის, რა ჰქნას! გულზე ხელები დაუკრეფია და ეზოში მიდი-მოდის. ხანდახან ჭიშკარშიც გაიხედავს და გზას გაჰყურებს.

ინჯი ხალა ძალიან შეწუხებულია, იცის თავისი ვაჟის ჯიუტი ხასიათი,—რამდენჯერ დაჰკითხეს, ციხეშიც აყურყუტეს.

გადაწყვიტა: შვილის ამხანაგებთან მივალ, იქნებ რამე ამბავი გავიგოო, მაგრამ ვერ გაბედა. შეეშინდა, უფრო არ გავაფუჭო საქმეო.

ქალაქში მუსავატელები ბატონობდნენ, მათი ცხენოსნები ქუჩებში ისე დაქროდნენ, იქაურობას ბღლვირს ადენდნენ. ბაილას უბანში მუშათა შეიარაღებული რაზმები იდგა. ხმა დაირხა: მუსავატელების ბატონობას ბოლო ელება, ხელისუფლება მუშების ხელში გადადისო.

ქამრანი მეოთხე დილით დაბრუნდა. სახე უცინოდა.

ინჯი ხალა ერთ ხანს უხმოდ უცქერდა შვილს და მერე ჰკითხა:

— სად იყავი, შვილო, ეს დღეები? გული გადამელია.

ქამრანმა პიჯაკის მარცხენა მხარეს დაბნეულ ბაფთაზე ანიშნა. ინჯი ხალამ წითელ ლენტს შეხედა და აღელვებით უთხრა:

— შვილო, საშიში დროა, ცოტა მეტი სიფრთხილე გმართებს.

ქამრანმა გაიღიმა.

— შიშმა გაიარა, დედა. მზემ ჩვენთვისაც გამოანათა. აზერბაიჯანი გათავისუფლდა, ძალაუფლება ჩვენს ხელთაა. თავისუფლება ლენინმა მოგვიტანა!



ინჯი ხალას თვალებზე სიხარულის ცრემლი მოადგა.

— შენ კი გაიხარე, შვილო, როგორც მე გამახარე!—თქვა და წამოდგა.—გაიხადე, დაიბანე, მოშიებული იქნები...

შვილს სუფრა გაუწყო, ჩაიც დაუსხა.

— აბა, კიდევ მიამბე, ილაპარაკე!

— ჩვენ საბოლოო ბრძოლისათვის ვემზადებოდით, დედა. ვიცოდით, მუსავატელები ასე ადვილად არ დაგვნებდებოდნენ. ამიტომ მუშათა რაზმებს უფრო და უფრო ვაიარაღებდით. დღეს დილით ჯავშნოსან მატარებელს შევხვდით ვაგზალში: კიროვი, ორჯონიკიძე, მიქოიანი და სხვები ჩამოვიდნენ. ჩვენთან ერთად ექიმი ნარიმანოვიც იყო. ყვავილებით შევეგებეთ ძვირფას სტუმრებს...

ინჯი ხალა ფანჯარასთან მივიდა და ცრემლები ჩუმად მოიწმინდა.

ქმარანი განაგრძობდა:

— ახლა ქუჩები მუშათა შეიარაღებული რაზმებითაა სავსე. მშრომელთა თავისუფლების პირველი მახარობელი ჯავშნოსანი მატარებელია.

ინჯი ხალა ფანჯარას მოშორდა, შვილს გვერდით მიუჯდა და ღრმად ამოიოხრა:

— რა მოხდებოდა, შენი მეგობრებიც რომ მოსწრებოდნენ ამ დღეს!..

ქმარანმა თავი ჩაჰკიდა.

— გამარჯვება უმსხვერპლოდ არა ხდება, დედა! ჩვენი ხალხის გმირმა შვილებმა თავი შესწირეს ამ დიდ საქმეს. რომელ ჩვენთაგანს დაავიწყდება 26 კომისარი: ხანლარ საფარალიევი, ალი ბაირამოვი, ალიოშა ჯაფარიძე, სტეფანე შაუმიანი... მართლაც და, დიდი ბედნიერება იქნებოდა ისინიც მოსწრებოდნენ ამ დღეს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიშერა და ღვინია

ვასილ გვეტაძე

ნახატი დიმიტრი ზარაფიშვილისა

მუდამ ერთად დადიან,
ჭირია თუ ლხინია:
პირველს ჰქვია გიშერა,
მეორეს კი — ღვინია.
ლამაზებს და ბუნჩულებს,
თვალადებს და ღონივრებს,
აგერ ხუთი წელია,
ხარს ვეძახით ორივეს.
დიახ, დიახ, ნამდვილად
ხარი გახლავთ ორთავე...
შეხედავენ ბიჭები —
ერთ ქრიამულს მორთავენ.

ერთი სულ არ ზარმაცობს,
მტერ-მოყვარეს არგია.
უღელს მარჯვედ ეწევა,
ბეჯითია, კარგია.
ზოზინაა მეორე...
ისეა თუ ასეა: —
ვერ გაუხსნი გუნებას,
ვერ გაუგებ ხასიათს.
ერთი შრომით დაღლილა,
ტოლი არ ჰყავს ამაში.
ჰო, დაღლილა მეორეც,
მაგრამ... მარტო ჭამაში.

ერთს ხარობას უქებენ,
გამძლე ქედზე ჰკოცნიან.
განზე რჩება მეორე —
მისთვის არვის მოცლია.
არ აგდებენ ჩირადაც
სიზარმაცის მოთავეს...
ისე, ისე, ნამდვილად
ხარი არის ორთავე.
მუდამ ერთად დადიან,
ჭირია თუ ლხინია:
პირველს ჰქვია გიშერა
და მეორეს ღვინია...





# პულპულის ფეხსაცმელები

(სომხური თქმულება)

ყარაბაღელი პულპული ხომ გაგიგონიათ? ჰოდა, მისი ენამოსწრებულობის ამბავიც კარგად გეცოდინებათ. ერთხელ, თურმე ახალი ფეხსაცმელები ჩაუცვამს და ჭრაჭუნ-ჭრაჭუნით გაჰყოლია ორღობეს.

სოფლის ბიჭებს ახალ ფეხსაცმელებში გამოწკეპილი პულპული რომ დაუნახავთ, მისი გაპამპულება მოუნდომებიათ: მოდი, ბაღზე შემოვიპატიჟოთ, ხეზე ფეხსაცმელებით ხომ ვერ ავა, გაიხდის, ხის ძირას დააწყობს, დავუმალოთ და ერთი გულიანად ვიცინოთო.

შეხმიანებიან:

— ძია პული, ძია პული, მობრძანდით, ბაღი მიირთვითო.

პულპული ბაღში შესულა, ფეხსაცმელები გაუხდია, ქამარში გაუჩრია და ბალზე ისე ასულა.

გაკვირვებულ ბიჭებს უკითხავთ:

— ძია პული, ფეხსაცმელები დაბლა დასტოვე, მაღლა რად გინდაო.

— ბლის ჭამას რომ მოვრჩები, გზა ხის კენწეროდან უნდა განვაგრძოო, — უპასუხნია ღიმებულ პულპულს.

ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფრასიონ მერკვილაძე

მამია ასათიანი — ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

ძველ დროს ხალხი დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა,—მეფის მთავრობა ჩაგრავდა ღარიბ გლეხობასა და მუშებს. ხალხი დაირაზმა მჩაგვრელთა წინააღმდეგ და 1905 წელს მოახდინა პირველი რევოლუცია. მრავალი ვაჟკაცი დაიღუპა ამ რევოლუციის დროს. მათ შორის იყო ხალხისათვის თავგანწირული მებრძოლი აფრასიონ მერკვილაძე.

აფრასიონ მერკვილაძემ შეადგინა წითელი რაზმი, რომელიც შიშის ზარს სცემდა მეფის მთავრობას. მაზრის უფროსის ბრძანებით სოფლებში ჩააყენეს ყაზახთა რაზმები, გადასწვეს აფრასიონის სახლ-კარი და მის მოხუც მამას სცემეს.

აფრასიონის რაზმმა შორაპნის მაზრა დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა და მას „ყვირილის რესპუბლიკა"—დაერქვა. მაშინ ასეთი პატარა რესპუბლიკები იყო გურიაში, ნაძალადევში, ჭიათურაში, ზუგდიდში, გორში, სვანეთში...

რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ აფრასიონსა და მის რაზმს კარგა ხანს არ დაუყრია იარაღი.

ბოლოს აფრასიონმა რაზმი დაშალა და ბათუმის მუშებთან ჩავიდა.

მეფემ გენერალი ალიხანოვ-ავარსკი შეასია ზემო იმერეთს. ალიხანოვი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა სოფლებს, რევოლუციის თავკაცებს აპატიმრებდა და სახლ-კარს უწვავდა.

აფრასიონი მაშინვე ზესტაფონში ჩავიდა. ისევ შეკრიბა თავისი რაზმი და ჭიათურისაკენ გაეშურა. აქ მას ეგულებოდა ჭიათურელი მუშები, მათი დიდი იმედი ჰქონდა. მართლაც აფრასიონი და მისი რაზმელები ვეფხვებივით ეკვეთნენ ყაზახებს და ზურგზე ბოლი ადინეს.

ათას ცხრაას შვიდი წლის ოც თებერვალს მოღალატეებმა გასცეს აფრასიონი და მისი მე-





ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრები. ყაზახები მალულად თავს დაესხნენ და ტყვიებით დაცხრილეს.

აფრასიონთან ერთად მოჰკლეს მისი განუყრელი მეგობრები: ლავრენტი დუგლაძე და ალექსანდრე გაჩეჩილაძე.

აფრასიონის ხურჯინს ჟანდარმები დიდხანს ახლოს ვერ ეკარებოდნენ, ყუმბარებით ეგონათ სავსე.

და როცა შიშითა და კანკალით გახსნეს, შიგ მარქსის, ლენინის, ენგელსისა და პლეხანოვის წიგნები აღმოჩნდა.

აფრასიონს ჰყავდა ორი და — ალექსანდრა და იტიდორა. ისინი მხარში ედგნენ ძმას და მასთან ერთად არა ერთხელ მოხვედრილან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში.

აფრასიონის გმირულ სიკვდილზე ხალხმა ლექსი გამოთქვა:

აფრასიონ მერკვილაძეს
თავი უკვდავი ეგონა,
ოცი ტყვია მოახვედრეს,
ფეტვის კაკალი ეგონა.
სტრაჟნიკები შემოერტყნენ,
კოდო-ბუზები ეგონა,
რაზმელების შეძახება
ტკბილი სიმღერა ეგონა.
მკერდზე სისხლი გადმოჩქეფდა,
წითელი ვარდი ეგონა,
გულგანგმირული მოძმენი
დაძინებულნი ეგონა.
ვეფხვივით დანავარდობდა,
მტრები ჩიტები ეგონა,
ნათელი რომ დაუბნელდა,
მას დაღამება ეგონა,
ხევში უსულოდ მწოლარეს
თავი მინდორში ეგონა,
დების მდუღარე ცრემლები
ქუქუნა წვიმა ეგონა.



# ჩიტებ

მამედ რაჰიმი

ისევ უნდა გაფრინდეთ,
ჩიტუნებო, გეთაყვა?!
ისევ უნდა დატოვოთ
ჩემი კარგი ქვეყანა?
რა გაკლიათ?—სითბოც
სიყვარულიც ულევი,
მაშ რატომ გიფრთხიალებ
გასაქცევად გულები?
გეხვეწებით, ნუ წახვალთ,
ნახეთ ჩვენი ზამთარი,
ერთი უნდა ირჩიოთ
სამშობლო და სახლ-კარი.





# მეთხილამურეები

ქ. გოგიაშვილი

ფრთიდან ფიფქი გადიბერტყეს
მოწყენილმა ჩიტუნებმა,
გადაბარდნილ ლამაზ თეთრ ტყეს
მიაშურეს ბიჭუნებმა.
ფერდობებზე ირევიან
თოვლში ამოგანგლულები,
აქეთ-იქით მიმოქრიან
თხილამურზე გაკრულები.
მოფართფატე თოვლის ფიფქებს
შეჰყურებენ სიხარულით,
არემარეს ახალისებს
ყმაწვილების ჟრიამული.

# გუნდაობა

თამარ ქალაგოზი

როგორც იქნა აგვისრულდა
ამდენი ხნის ფიქრი, ნატვრა,
და ეზოში სიხარულით
წამოვჭიმეთ თოვლის პაპა.

ველარა ვგრძნობთ დაღლას, ყინვას,
ლოყებიც კი დაგვიხურდა,
სიცილსა და ჟრიამულში
ყველას გვხვდება თითო გუნდა.



# გამარჯვების გზით

კარლენ გეორქიანი

ნახატი ალ. გრიგორიანისა



არმენი აივანზე იდგა. ცალ ხელში კინოლენტის ხვეულა ეჭირა, მეორეთი კადრი მიეშვირა მზისთვის და კითხულობდა: «გამარჯვების გზით»... და... უცებ ხვეულა ამოძრავდა, ვიწრო ლენტი გაიშალა, გაფართოვდა და გაჩახჩახებულ შარაგზად იქცა. გარბოდა შარაგზა და არმენიც სირბილ-სირბილით მიუყვებოდა. კინოლენტი რაც უფრო სწრაფად მიჰქროდა, უფრო და უფრო ფართოვდებოდა, მეტი და მეტი სისწრაფით მიექანებოდა შორეთისაკენ. უცებ არმენმა ზურგს უკან გაჭენებული ცხენის ფრუტუნისა და ძაბრისქუდიანი პატარა მხედრის ხმა გაიგონა:

— ეჰეი, ჩემო პატარა შვილიშვილო, გზა, გზა მიეცი პაპაშენს!..

— პაპაშენსაო?.. ეს შენა ხარ პაპაჩემი?! — გაეცინა არმენს, — შენი ხმლის სიმაღლეც კი არა ხარ!

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, სწორედ რომ პაპად გეკუთვნი... განა არ იცი, რომ ყოველივე ეს, 1921 წელს, კინოფირზე ხდება... გასაგებია?..

— მერე, საით მიაჭენებ ცხენს, პატარა პაპიკო? — მიაძახა არმენმა.

— მოსკოვისაკენ, წითელარმიელი უნდა გავხდე!..

არმენმა სირბილს უმატა.

უცებ... მოტორის გუგუნი გაიგონა, უკან მიიხედა და ნამდვილი ტანკი დაინახა.

— გზა, გზა მომეცი, შვილო! — პატარა ჯარისკაცს ტანკის სარკმელი გამოეღო, თავი გამოეყო და აფრთხილებდა არმენს.

— პაპაჩემო, ისევ შენა ხარ?!

— პაპა კი არა, მამა ვარ შენი! — გაუწყრა ჯარისკაცი, — კინოფირის ამბავი დაგავიწყდა?! ახლა ხომ 1941 წელია, ლენინგრადისკენ მივეშურები, ფაშისტები ნაცარტუტად უნდა ვაქციოთ...

— გზა მშვიდობისა, პატარა მამიკო, — ხმა მიადევნა არმენმა, — გამარჯვებით გევლოს!..

...და ბიჭუნა თავის «გზა-კინოს» კვლავ სირბილით გაუყვა. დიდხანს, დიდხანს ირბინა, იმდენ ხანს, რომ კინოლენტი დედამიწას რამდენიმეჯერ შემოეხვია, მერე სამყაროს უკიდეგანო სივრცეებს დაადგა და რაკეტადქცეული შორეული პლანეტისაკენ დაიძრა...

* * *

...მაგიდაზე მაღვიძარა საათი აწკრიალდა. არმენმა თვალები სწრაფად გაახილა, კალენდარს შეხედა და მიხვდა, რომ ეს ყველაფერი სიზმრად ნახა, რომ დღეს 21 აპრილია, 1970 წლის 21 აპრილი.

— ვაშა-ა! — წამოიძახა ბიჭუნამ, — დღეს პიონერი ვხდები.

მერე ელვის უსწრაფესად ჩაიცვა და სკოლისაკენ მოჰკურცხლა.





# გიას ავტო

ანდრო თევზაძე

ეს შოფერი გია არის
და წასვლამდე მიასწარი,
თორემ, თუკი ჩართო ძრავა,
არ დაგიცდის, ისე წავა.

მერე დაჯექ და უცადე.
როდის მოვა სხვა მანქანა;
ასე ზანტი სიარული
გაგიხდება დასანანად.

დაუჩქარე! დაუჩქარე!
ფეხი ხომ არ დაგიმოკლდა?
გია უკვე საჭეს უზის,
გაფრინდება მისი ვოლგა!..

ნახატი თემურ ჩირინაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ბიჭუნა და მგზავრი

აზერბაიჯანული ხალხური ზღაპარი

დიდი ხნის წინათ განჯაში ცხოვრობდა ერთი ჭკვიანი და მოხერხებული ბიჭი.

ერთხელ ბიჭუნა გორაკზე თამაშობდა. გაიხედა და, რას ხედავს,—ერთი კაცი სახედარზე შემომჯდარა, იღლიაში მამალი ამოუჩრია, მოდის და მოღიღინებს. ეტყობა, აქაური არ უნდა იყოს.

— აქეთ, ყმაწვილო, რაღაც უნდა გკითხოო!—დაუძახა მგზავრმა.

— რა გნებავთ, ძიაო?—თავი დაუკრა ბიჭმა.

— ერთი, შენს გაზრდას, მიმასწავლე, ამ ქალაქის თავკაცები სად ცხოვრობენო.

— ვერ გავიგე, ძია, ვისი ნახვა მოგიწადინებიათო.

— როგორ თუ ვერ გაიგე, ქალაქის თავკაცებზე გეკითხებიო.

— ჰოო, ახლა კი მივხვდი, წამობრძანდითო.



ბიჭმა მგზავრი აქლემების სადგომთან მიიყვანა:

— აი, ქალაქის თავკაცები აქ ცხოვრობენო.

მგზავრმა მიიხედ-მოიხედა, სამი აქლემის მეტი რომ ვერა დაინახა რა, სახტად დარჩა.

— ყმაწვილო, მე აქლემებზე როდი გკითხე, თავკაცების ნახვა მინდა, აი, გრძელი წვერი რომ აქვთო.—თქვა მგზავრმა და თავის ჭალარა წვერზე ხელი ჩამოისვა.

ბიჭმა ახლა სათხებოს მიაყენა მგზავრი



კარი გამოაღო და იქიდან სულ პანტაპუნტით გამოცვივდნენ თხები.

— ა, ბატონო, ჩვენს ქალაქში ამათზე გრძელი წვერი არავის აქვსო.

მგზავრი გაბრაზდა:

— ერთი ამ ლაწირაკს დამიხედეთ! მიწას არ ასცილებია და მაპამპულებს! მე ადამიანებთან მინდა ლაპარაკი, ცხოველებთან რა მესაქმებაო.

— მერე და, ეგრე გეთქვათ, კაცი თუ გინდათ, აგერ არა ვარ?! მოდით და მელაპარაკეთო!—უთხრა ბიჭმა.

— შენ რა უნდა გელაპარაკო, ამ ქვეყნისა რა გაგეგებაო?!

— მე ჩემი გითხარით და, როგორც გნებოთ.

— კარგი, რახან ეგრეა, მომისმინე: შორიდან მოვდივართ, მეც, ჩემს სახედარსაც და მამალსაც შიმშილით სული გვძვრება. ჯიბეში კი ერთი გროშის მეტი არა მიგდია რა. აბა, მითხარი, ერთ გროშად რა ვიყიდო, რომ მეც დავნაყრდე, სახედარიცა და მამალიცო.

— მაგაზე ადვილი რა არისო!—ბიჭმა მგზავრი ბაზარში წაიყვანა და ნესვის გროვას მიაყენა,—ა, ბატონო, ამოიღეთ გროში და იყიდეთ ერთი ნესვი; ქერქი სახედარს აჭამეთ, თესლი მამალს დაუყარეთ, დანარჩენი მიირთვითო.

მგზავრმა იფიქრა: თუ ამ ქალაქში ასეთი ჭკვიანი ბავშვები არიან, დიდები რაღა იქნებიანო და უკან გაბრუნდა.

ნახატები **ზურაბ ქაპანაძისა**





## ძროხა სად არის?!

— წადი, შვილო, ძროხა აბალახე.

ბიჭი წავიდა და კარგა ხნის მერე დაბრუნდა.

— აბალახე?

— ჰო, დედა.

— წყალი დაალევინე?

— დავალევინე.

— ახლა წაიყვანე და ბოსელში დააბი.

— ძროხა სად არის?! — იკითხა ბიჭმა.





## გულადი

ნოდარ შამანაძე

იკვეხნიდა ვანო:
მე გულადი ვარო.
რომ დავტოვეთ შინა,
თაგვმა შეაშინა.



## გამოცანა

შოთა ამირანაშვილი

ამ ზამთარში რომ მოუსხამს
ნაირფერი ხილი:
ვაშლი, მსხალი, ფორთოხალი,
კაკალი და თხილი;
ტოტებიც რომ მოუქარგავს
ვარსკვლავებს და ფიფქებს...—
რა ხე არის, ყმაწვილებო,
გამოიცნოთ, იქნებ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აჰმედი

— აბა, ბავშვებო, ვინ უფრო კარგად დაწერს ასეთ თემას,—„სტუმრად ბებიასთან“. — უთხრა მასწავლებელმა მოსწავლეებს.

აჰმედმა ყველაზე ადრე დადო კალამი და რვეული მასწავლებელს გაუწოდა. მასწავლებელმა გადაშალა რვეული და რას ხედავს?!

— „ბებია შინ არ დამიხვდა“.—დაეწერა აჰმედს.



## ენის გასატეხი

მზია ჩხეტიანი

თოვლმა თეთრი ყვავილებით
თრიმლის ტოტი მოჩითა,
თრიმლის ტოტზე ჩიტი ჩივის:
შემცივდა და მომშივდა.



## ჩემი ცხენი

ა. დარბნი

ჩემი ცხენის სადარი
ცხენი ქვეყნად სად არი?
ჩემი ცხენი სულ სხვაა,
მღელვარე ზღვის სუნთქვაა...

ჩემი ცხენი მოფრინდა
ბებოს ტკბილი ზღაპრიდან,—
ელვიანი ფლოქვებით,
ცეცხლოვანი ფაფრითა.

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, ჯემალ ლოლუა, ზურაბ ლომიძე, მაყვალა მრევლიშვილი, იორამ ქემერტელიძე (პ/მგ მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხ. რედაქტორი), გივი ძნელაძე

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი.
ყდაზე ნახატი თენგიზ სამსონაძისა გამოცემის 44-ე წელი. ტექრედაქტორი გ. როინიშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ, — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузий

გადაეცა ასაწყობად 23/IX-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XI-70 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 153.500. შეკვ. № 3059. „Дила“ № 1. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
61787/24













## თბილისის 69-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ნახატები

„კოსმოდრომი“ — ნახატი ირაკლი ედელაშვილისა.
„ზამთარი“ — ნახატი მანანა ენუქიძისა.
„ვაკის პარკში“ — ნახატი ქეთევან ნასიძისა.
„მშენებლობა“ — ნახატი გიორგი ნიკოლეიშვილისა.
„ბარათაშვილის აღმართი“ — ნახატი მამუკა როყვასი.
„ზღვაში“ — აპლიკაცია ზურაბ ჭანტურიასი.

76055